N 2701/11
03/05/2022

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #31010101//83

თბილისი

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ _ "ხელშეკრულება") _ "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2. "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.3. "მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;
1.4. "ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
1.5. "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები
წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:

ერთის მხრივ
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს („შემსყიდველი")
თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. #6

და მეორეს მხრივ
შპს „ბადაგს" („მიმწოდებელი") შორის.
თბილისი, იურ. თბილისი, მიცკევიჩის ქ. #1, ბინა 3, ფაქტ. აღმაშენებლის ხეივანი 1.6 კმ

3. ხელშეკრულების საგანი
ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ წარმომადგენლობითი ხარჯების გასაწვად, ამა წლის 5-7 მაისს მინისტრის აზერბაიჯანის რესპუბლიკაში (ქ. ბაქო, მინისტერიალი „სოფლის მეურნეობის გაციფრულება) ვიზიტის უზრუნველსაყოფად, 5 ერთეული სასაჩუქრე ნაკრების (CPV კოდი: 15800000) შესყიდვა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 1,750.00 ლარს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.
4.2. შესასყიდი საქონლის - 1 ერთეული სასაჩუქრე ნაკრების - ჩემოდანი სხვადასხვა სახეობის ქართული ნუგბარით: ჩურჩხელა, ტყლაპი, ჩირი, თაფლი, ღვინო, თხილეული, ტკბილეული და ა.შ.) ღირებულება შეადგენს 350.00 ლარს, სულ 5 ერთეული - 1,750.00 ლარი.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი
5.1. მიმწოდებელი ვალდებულია მოაწოდოს შემსყიდველს საქონელი არაუგვიანეს ამა წლის 5 მაისისა, მისამართზე თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. #6, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.
5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოითხოვოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად.
5.3. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.

6. საქონელის მიღება-ჩაბარების წესი
საქონელი მოწოდებულად ჩაითვლება შესაბამისი "მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმების შემდეგ.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი
მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლსა და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერას უზრუნველყოფს გიგა გრიგოლია - მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (ქონების მართვისა და შრომის უსაფრთხოების სამმართველო).

8. გარანტია
მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მოწოდებული საქონელი იქნება ხარისხიანი და მოწოდებული იქნება დროულად, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს ყველა ხარვეზის გამოსწორება.

9. ანგარიშსწორება
9.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარში, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ, 10 სამუშაო დღის ვადაში.
9.2. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

10. ფასები
10.1. წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლში დაფიქსირებული ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს, რომლის შეცვლა დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
10.2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

11.2. შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

12. უფლებების გადაცემა

მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

ფორს-მაჟორი

13.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

13.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული

შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.3. მხარეები აღიარებენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიის პირობებში და თანხმდებიან, რომ აღნიშნული არ წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველს;

13.4 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13.5 ფორს-მაჟორული გარემოებების აღმოფხვრის შემდეგ მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ახალ ვადებზე.

14. ხელშეკრულების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება

14.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10% ოდენობით;
14.3. ხელშეკრულების პირობების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 10% ოდენობით;
14.4. ხელშეკრულების 5.1. და 9.1 პუნქტებით განსაზღვრული ვალდებულებების ვადაგადაცილებით შესრულების შემთხვევაში მხარეებს დაეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.02% ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
14.5. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვა ლდებულებების შესრულებისაგან.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა
15.1. ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.
15.2. ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.
15.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
15.4. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.
15.5. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:
ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

16. დავების გადაწყვეტის წესი
16.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.
16.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

17. სხვა პირობები
17.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2022 წლის 1 აგვისტომდე.
17.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ერთ ეგზემპლარად და მხარეების მიერ შესრულებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა ან/და დამოწმებულია კვალიფიციური ელექტრონული შტამპით.

მიმწოდებელი:

შპს „ბადაგი“ დირექტორი ინგა ყაჯრიშვილი

ს.ს. 404907222 „თიბისი ბანკი“ TBCBGE22 ანგარიშის #GE89TB7759436080100001

BAD AGI LTD

Digitally signed by BADAGI LTD
Date: 2022.05.03 15:58:03 +04'00'

შემსყიდველი:

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ს.კ. 205350528,სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, ანგარიში GE24NB0330100200165022

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე

Ministry of Environmental Protection and Agriculture of Georgia

Digitally signed by Ministry of Environmental Protection and Agriculture of Georgia
Date: 2022.05.03 16:04:08 +04'00'